ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2863851

ნომერი: AR1444364

თარიღი : 27.09.2016

გაცემის თარიღი : 19.10.2016

გაცნობის თარიღი : 19.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუდაპეშტი , N 1ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ალექსიშვილი პ/ნ 01024016364
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 1ბ

ორგანიზაცია:
- შპს "ჰოლდინგი საქართველო" კოდი: 211752021

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2012 წ. №207014 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 27/09/2016 წ. # AR1444364 განცხადებით მომართა ქეთევან ალექსიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 08.06.2012 წ. №207014 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2012 წ. №207014 ბრძანებით ქ. თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა, #1ბ-ში, შპს "ჰოლდინგი საქართველო"-ს (ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი: 211752021) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. #01.10.14.004.022) შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის რეკონსტრუქციის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, 08.06.2012 წ. №207014 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ, საერთო ფართად ნაცვლად 6236.6 უნდა ფიქსირდებოდეს: 7629 კვ.მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2012 წ. №207014 ბრძანებაში და საერთო ფართად დაფიქსირდეს: 7629 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 08.06.2012 წ. №207014 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N 7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.